

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეხუთე სექცია

საქმე „რაინერ ბრაუნი ელდიის წინააღმდეგ“

(საჩივარი № 913/22)

I. ფაქტობრივი გარემოებები

1. რაინერ ბრაუნი („მომჩივანი“) არის არასამთავრობო ორგანიზაცია (NGO) - „ეკლექტური ელდიის“ აღმასრულებელი დირექტორი. აღნიშნული ორგანიზაციის მიზანია ელდიაში მცხოვრები სექსუალური უმცირესობების უფლებების მხარდაჭერა და დაცვა.
2. რაინერ ბრაუნის ორგანიზებით და ხელშეწყობით დაიგეგმა სექსუალური უმცირესობების მხარდაჭერის დღისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი დემონსტრაცია/მსვლელობა, რომელიც უნდა გამართულიყო 2021 წლის 13 ივლისს, ელდიის დედაქალაქ სინას ცენტრალურ ქუჩაზე.
3. აღნიშნული მსვლელობის პარალელურად, ორგანიზაცია “ნამდვილ მამაკაცთა კავშირის” მიერ დაიგეგმა სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაცია. ცნობისთვის, ზემოხსენებული ორგანიზაცია აერთიანებს სექსუალურ უმცირესობათა მიმართ არაკეთილგანწყობილ 100 000 ელდიელ მამაკაცს, რომელთა გაცხადებულ მიზანს წარმოადგენს ელდიური იდენტობის შენარჩუნება და „გარყვნილების“ წინააღმდეგ ბრძოლა.

2021 წლის 13 მაისის დემონსტრაცია

4. დემონსტრაციის დღეს, დილის საათებში, მომჩივანი და მისი ორგანიზაციის წევრები/მხარდამჭერები, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეიკრიბნენ დედაქალაქ სინას ცენტრალურ ქუჩაზე, დაგეგმილი მანიფესტაციის ჩატარების მიზნით. დემონსტრაციის მონაწილეები გამოწყობილი იყვნენ ცისარტყელას ფერებში და საჯაროდ, თავისუფლად გამოხატავდნენ მათ სექსუალურ იდენტობას.

5. პარალელურად, სინას ცენტრალური ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრება დაიწყო „ნამდვილ მამაკაცთა კავშირის“ წევრებმა, რომლებიც ტელევიზიისა და სოციალური ქსელების მეშვეობით წინასწარ ანონსებდნენ აგრესიულ ქმედებებს მანიფესტაციის მონაწილე სექსუალური უმცირესობების მიმართ. დემონსტრაციის მონაწილეების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ასევე იზრდებოდა დაპირისპირების საფრთხე. საერთო ჯამში აქციის მონაწილეთა რიცხვმა გადააჭარბა 10,000 ადამიანს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად ადგილზე მობილიზებული იყო 1000 პოლიციელი.
6. 13 მაისს, დაახლოებით შუადღის 13:00 – 14:00 საათისთვის, „ნამდვილ მამაკაცთა კავშირის“ ორგანიზებით ჩატარებული აქციის მონაწილეებმა დაიწყო მსვლელობა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართულებით. პერიოდულად გაისმოდა მოწოდებები და შეურაცხყოფელი ფრაზები, საიდანაც იკვეთებოდა აქციის მონაწილეთა აგრესიული და ჰომოფობიური განწყობა. აგრესია და სიძულვილის ენა გამოიხატებოდა ფრაზებში - „ავადმყოფები“, „გარყვნილები“, „ამოსაწყვეტები“, „პიდარასტი დემონები“. ამასთან, არაერთხელ გაჟღერდა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ ფიზიკური ძალისმიერი ქმედებების განხორციელების მუქარა.
7. ამასთან, დემონსტრანტებთან ერთად წარმოდგენილნი იყვნენ ელდიის საპატრიარქოს მღვდელმსახურები, რომლებიც აქტიურად აღვივებდნენ აგრესიულ მუხტს აქციის მონაწილეებს შორის. საყურადღებოა, რომ დემონსტრაციის წინა დღეს ელდიის საპატრიარქოს ერთ-ერთი მაღალი იერარქიის მქონე მღვდელმსახური, მამა ჯეიკობი, საჯარო განცხადებებით ახალისებდა ძალადობრივ ქმედებებს სექსუალური უმცირესობების მიმართ.
8. დემონსტრაციის დღეს აქციის მონაწილეებმა ძალის გამოყენებით, მოულოდნელად გაარღვიეს პოლიციის კორდონი, შეიცვალეს ლოკაცია და ალყაში მოაქციეს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები. შედეგად, მომჩივანს და მის გვერდით მდგომ რამდენიმე პირს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, უწოდეს „ცოდვილი“, „გახრწნილი“ და „ამორალური პიდარასტი“. აღსანიშნავია, რომ ამ დაპირისპირების პროცესში მომჩივნისა და სექსუალური უმცირესობის სხვა წარმომადგენელთა ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. სამართალდამცავთა დამატებითი ძალების ჩარევის შემდგომ ინციდენტი რამდენიმე წუთში განიმუხტა და აქციის მონაწილეები დაუბრუნდნენ თავდაპირველ ლოკაციას. ორივე მიმდინარე დემონსტრაცია გაგრძელდა მშვიდობიან რეჟიმში.

9. მიუხედავად დამატებითი ინციდენტის არ არსებობისა, მომჩივანმა და არასამთავრობო ორგანიზაციის რამდენიმე ლიდერმა, მათი თქმით, იგრძნეს დაპირისპირების შესაძლო გამწვავების საფრთხე და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს მოუწოდეს დემონსტრაციის დასრულებისკენ. შედეგად, რამდენიმე საათში აქციის მონაწილეები საკუთარი სურვილით დაიშალნენ. მალევე დასრულდა „ნამდვილ მამაკაცთა კავშირის“ მიერ ორგანიზებული აქციაც. ელდიის დედაქალაქი სინა დაუბრუნდა ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

სისხლის სამართლის გამოძიება

10. 2021 წლის 14 მაისს რაინერ ბრაუნმა საჩივრით მიმართა ელდიის გენერალურ პროკურატურას მის მიმართ განხორციელებულ შესაძლო ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით. კერძოდ, მომჩივანი მოითხოვდა დამოუკიდებელი, ეფექტიანი და ადეკვატური სისხლის სამართლის გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებას და წარმოებას, ელდიის სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, 151-ე და 161-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე.

11. მომჩივნის მოთხოვნის საპასუხოდ, 2021 წლის 31 მაისს, ელდიის გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, მომჩივნის მიმართ მშვიდობიან დემონსტრაციაში მონაწილეობის უფლების ძალადობის მუქარის გამოყენებით უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით.

12. 2021 წლის 2 ივნისს მომჩივანი დაიკითხა მოწმის სტატუსით. მან დეტალურად აღწერა დემონსტრაციის დროს მიმდინარე მოვლენები და განაცხადა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციული მოტივით განხორციელებულ ძალადობას, სიტყვიერ შეურაცხყოფას, რის შედეგადაც მან განიცადა ძლიერი მორალური ტკივილი. ამასთან, მის მიმართ განხორციელებული მუქარის შედეგად, მას შეექმნა სიცოცხლის მოსპობის რეალური შიში.

13. გამოძიების მიმდინარეობის პროცესში, 2021 წლის 5 ივნისს, საქმის გამომძიებელმა უზრუნველყო მომჩივნისთვის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. მიღებული ექსპერტიზის დასკვნით დაგინდა, რომ მომჩივანს არ აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები.

14. ამასთან, სისხლის სამართლის საქმის მასალიდან იკვეთება, რომ გამოძიების მიმდინარეობისას განხორციელდა აქციის დროს მომხდარი ინციდენტის მონაწილე პირთა იდენტიფიცირება და გამოკითხვა. ასევე, გამომძიებელმა შესაბამისი კომპანიებიდან გამოითხოვა ინციდენტის ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალა,

დათვალერდა შემთხვევის ადგილი. მოხდა მომჩივნის განმეორებით მოწმის სახით გამოკითხვა, რა დროსაც მან დააფიქსირა სკეპტიკური დამოკიდებულება მიმდინარე საგამომიებო პროცესის მიმართ და აღნიშნა, რომ არ ჰქონდა ეფექტიანი გამოძიების წარმოების იმედი. საქმეში არსებული ბოლო ინფორმაციით გამოძიება მიმდინარეა.

15. 2021 წლის 31 ივნისს, მომჩივანმა წერილობით მიმართა ელდის გენერალურ პროკურატურას და მოითხოვა დაზარალებული სტატუსის მინიჭება. პასუხად, 2021 წლის 5 ივლისს საგამომიებო უწყებამ მომჩივანს აცნობა, რომ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით მიმდინარეობდა ინტენსიური საგამომიებო/საპროცესო მოქმედებები. ხოლო, მომჩივნისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხი გადაწყდებოდა შესაბამის მტკიცებულებათა შეკრების შემდგომ. ამასთან, მომჩივანს ეცნობა, რომ დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელი იყო ელდის საქალაქო სასამართლოში.
16. 2021 წლის 6 ივლისს მომჩივანმა საჩივარი წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე.

II. საერთაშორისო და ეროვნული სამართალი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია („კონვენცია“)

მუხლი 3 - წამების აკრძალვა

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

მუხლი 10 - გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომალუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება [...] შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების,

ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწყესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად [...].

მუხლი 11 - შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

„1. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის, პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. [...]“

მუხლი 14 - დისკრიმინაციის აკრძალვა

„ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.“

ეროვნული კანონმდებლობა

17. ელდიის სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ტკივილი ან/და ძლიერი ემოციური სტრესი გამოიწვია ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.
18. ამავე კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად, სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ისჯება ჯარიმით.
19. სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის თანახმად, მშვიდობიანი დემონსტრაციის მოწყობის ან მასში მონაწილეობის უფლების ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონოდ ხელის შეშლა სისხლის სამართლით დასჯადი დანაშაულია.

20. დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ელდიის კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის შესაძლოს მსხვერპლი უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს ელდიის სახალხო დამცველს და მოითხოვოს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა. ამავე კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ელდიის სახალხო დამცველის მიერ მომჩივნის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, დისკრიმინაციის მსხვერპლი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი რაოდენობის კომპენსაცია სახელმწიფოსგან. ამასთან, ელდიის სახალხო დამცველი გამოსცემს რეკომენდაციას თანასწორობის აღსადგენად ღონისძიებების განხორციელების შესახებ.
21. ელდიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. 101-ე მუხლის თანახმად, გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.

III. მომჩივნის პრეტენზიები

22. კონვენციის მე-3, მე-10, მე-11 და მე-14 (მე-3 მუხლთან ერთობლიობაში) მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი აცხადებს, რომ 2021 წლის 13 აგვისტოს მანიფესტაციის მონაწილეთა წინააღმდეგ განხორციელდა თავდასხმა, რის შედეგადაც ის დაექვემდებარა არასათანადო და არაადამიანურ მოპყრობას, რაც აღწევდა სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. სამართალდამცავმა უწყებამ ვერ შეძლო მომჩივნის დაცვა კონტრდემონსტრანტების თავდასხმებისგან. ასევე, აღნიშნულ ძალადობრივი ინციდენტებზე არ ჩატარდა ეფექტიანი გამოძიება სახელმწიფო უწყების მხრიდან.
23. ამასთან, მომჩივნის თქმით, მან ვერ შეძლო გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების უფლების სათანადოდ განხორციელება. მის მიმართ ადგილი ჰქონდა ჰომოფობიური განწყობით მოტივირებულ დისკრიმინაციული ბუნების მქონე ქმედებებს.

IV. სასამართლოს კითხვები მხარეებს

1. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ელდიის გენერალურ პროკურატურაში წარმოებული გამოძიების მხედველობაში მიღებით, ამოწურა თუ არა მომჩივანმა ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებები?

2. მომჩივნის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობრივი ქმედებები აღწევდა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სისასტიკის ზღვარს?
3. სახელმწიფო საგამომიებო ორგანოს მიერ ჩატარდა თუ არა 2021 წლის 13 მაისის ინციდენტის ეფექტიანი გამოძიება?
4. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ჰქონდა თუ არა ადგილი მომჩივნის მიმართ კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებით დაცული უფლებების დარღვევას?

**შენიშვნა: მონაწილე თითოეულმა გუნდა უნდა მოამზადოს მომჩივნისა და მონაწილე სახელმწიფოს პოზიციები.*